საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 6242/01
21/06/2021

6242-01-2-202106211738

ფიზიკურ პირ ლევან გუგუჩიას
მის: ქ. ქარელი, გოგებაშვილის ქ. #6
ელ. ფოსტა: levan.guguchia@hotmail.com

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 15 ივნისის N10532 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქარელის მუნიციპალიტეტში, სოფელ კოდავარდისუბანში მიკრო სიმძლავრის ქარის ტურბინის მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებასა და თანდართულ დოკუმენტაციაში განხილულია არა უშუალოდ საპროექტო ტერიტორიის და დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია, არამედ რეგიონის ზოგადი დახასიათება. ამასთან, სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხი, კერძოდ:

- წარმოდგენილი სკრინინგის განცხადებიდან არ იდენტიფიცირდება რამდენი ერთეული ქარის ტურბინის დამონტაჟებას გეგმავს საქმიანობის განმახორციელებელი და არ არის მოცემული საპროექტო ტერიტორიაზე (ს/კ 68.05.41.378) ქარის ტურბინების განთავსების კონკრეტული ლოკაციები (მაგ: GPS კოორდინატები). მათ შორის დაზუსტებას საჭიროებს ქარის ტურბინ(ებ)ის განთავსებიდან მანძილი უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე ან/და სხვა კერძო საკუთრებამდე;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს ორნითოფაუნაზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია;
- სკრინინგის განცხადებაში მოცემული უნდა იყოს ზედაპირული და გრუნტის წყლებზე ზემოქმედების შესახებ საკითხები;
- დაზუსტებას საჭიროებს წყლის გამოყენებისა და სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების მართვის შესახებ ინფორმაცია;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტზე ზემოქმედებისა და მისი შემდგომი მართვის შესახებ;
- დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია სამშენებლო და მოწყობითი სამუშაოების შესახებ, მათ შორის ზემოქმედების საკითხი და სამშენებლო სამუშაოების ხანგრძლივობა;

- სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას მცენარეულ საფარზე ზემოქმედების შესახებ;
- სკრინინგის განცხადებაში განხილული უნდა იქნას მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი ნარჩენების და მათი შემდგომი მართვის შესახებ ინფორმაცია;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, ქარის ტურბინების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია დატვირთვის მიზნით მოხმარდება მაინინგის სისტემას. დაზუსტებას საჭიროებს გამომუშავებული ენერგიის გამოყენების, მათ შორის მაინინგის სისტემის შესახებ ინფორმაცია;
- სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს ტრანსფორმატორის ან/და სხვა მსგავსი მოწყობილობის განთავსების შესახებ ინფორმაცია;
- დაზუსტებას საჭიროებს სამშენებლო სამუშაოების ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედების საკითხი;
- სკრინინგის განცხადების მიხედვით, ტურბინის დაბალი სიმძლავრიდან გამომდინარე არ ექნება ხმაური და ვიბრაცია. ვინაიდან, ქარის ტურბინის ექსპლუატაცია დაკავშირებულია ხმაურის გავრცელებასთან, შესაბამისი გამოთვლებისა და სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით (ტურბინების რაოდენობა, არსებული ბუნებრივი ბარიერები და მანძილი უახლოეს რეცეპტორებამდე) დაზუსტებას საჭიროებს საპროექტო ტურბინების ექსპლუატაციით გამოწვეული ხმაურის გავრცელების დონის შესახებ ინფორმაცია;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, ქარის ტურბინის განთავსება დაგეგმილია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე. გაცნობებთ, რომ „მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილების გარეშე მისი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება დაუშვებელია;
- სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად.

სამინისტრო სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით იმსჯელებს ზემოაღნიშნული შენიშვნების შესაბამისად შესწორებული სრულყოფილი სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე